პროექტი
01.08.2024

გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ინსტრუქცია

მუხლი 1.

„საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი შესაბამისად, დამტკიცდეს გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ინსტრუქცია თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 23 სექტემბრიდან.

მინისტრი **ოთარ შამუგია**

DRAFT

გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ინსტრუქცია“ (შემდეგომ – ინსტრუქცია) აწესრიგებს რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დასაცავ/დაცულ სურსათთან, სურსათთან შეხებაში მყოფ მასალებთან და ნაკეთობებთან, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელთან, სპირტიან სასმელთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ მწარმოებელთა ან/და გადამამუშავებელთა ნებისმიერი გაერთიანების ან/და სხვა პირთა გაერთიანების, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა (შემდეგომ - გაერთიანება) მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

2. გარდა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნებისა, გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგი რეგულირდება „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონით, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ კოდექსით“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ეს ინსტრუქცია მიზნად ისახავს გაერთიანების მონიტორინგთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში, გაერთიანების მონიტორინგს ახორციელებს:

ა) სურსათის (გარდა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლისა, სპირტიანი სასმლისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატისა) შემთხვევაში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო;

ბ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტიანი სასმელის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის შემთხვევაში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ღვინის ეროვნული სააგენტო.

გ) ავტორიზებული მაკონტროლებელი ორგანო, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც, კომპეტენტური ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული აქტით, მინიჭებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანების შესრულების უფლებამოსილება, რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სურსათის, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტიანი სასმელის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის შეფასებისათვის.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

1.ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გაერთიანება - ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დასაცავ/დაცულ სურსათთან, სურსათთან შეხებაში მყოფ მასალებთან და ნაკეთობებთან, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელთან, სპირტიან სასმელთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ მწარმოებელთა ან/და გადამამუშავებელთა ნებისმიერი გაერთიანება ან/და სხვა პირთა გაერთიანება, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;

ბ) მონიტორინგი - გაერთიანების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებების შესრულებაზე კომპეტენტური ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი, რომლის ფარგლებში ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები.

გ) გონივრული ვადა – პერიოდი, რომელიც დგინდება უფლებამოსილი პირის მიერ და საჭიროა მითითებით განსაზღვრული შეუსაბამობის გამოსწორებისათვის;

2. ამ ინსტრუქციის მიზნებისათვის გამოიყენება ასევე „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონით, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ კოდექსით“ , ღვინისა და ვაზის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. ძირითადი პრინციპები

უფლებამოსილი პირის მიერ გაერთიანების მონიტორინგი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

ა) პროფესიული დამოუკიდებლობა – მონიტორინგი უნდა განხორციელდეს დაინტერესებული ჯგუფების გავლენისაგან დამოუკიდებლად;

ბ) ობიექტურობა – განხორციელებული მონიტორინგის შედეგად დასკვნების, შეფასებების, მითითებების და/ან სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების დროს დაცული უნდა იქნეს საიმედოობა და მიუკერძოებლობა;

გ) სანდოობა – მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) კონფიდენციალურობა – დაცული უნდა იქნეს გაერთიანებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა მონიტორინგის განხორციელების მიზნით, მათ შორის, ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება შელახოს გაერთიანების წევრთა სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული რეპუტაცია;

ე) კეთილსინდისიერება – უფლებამოსილმა პირმა პროფესიული საქმიანობა კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს. გაერთიანებასთან და მის წევრებთან მისი ურთიერთობა უნდა იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი, რაც გაერთიანების მხრიდან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბების საფუძველი უნდა გახდეს.

მუხლი 5. გაერთიანების მონიტორინგის პროცედურები

1. გაერთიანების მონიტორინგი ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები და კომპეტენტური უწყების ან მაკონტროლებელი ორგანოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

2.მონიტორინგის დროს შემოწმებული უნდა იქნეს:

ა) გაერთიანების მიერ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის სურსათის, სურსათთან შეხებაში მყოფი მასალებისა და ნაკეთობების, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტიანი სასმელის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის ხარისხის, რეპუტაციისა და ავთენტურობის უზრუნველსაყოფად ბაზარზე განთავსებული ამ საქონლის დასახელების გამოყენებაზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგები და, საჭიროების შემთხვევაში,

კომპეტენტურ უწყებისათვის მიწოდებული სათანადო ინფორმაციის მიწოდების სისრულე და დროულობა;

ბ) გაერთიანების მიერ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნისა და მასთან პირდაპირ დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად მიღებული შესაბამისი ზომები;

გ) გაერთიანების მიერ მომზადებული საინფორმაციო მასალები და განხორციელებული ღონისძიებები საქონლის დამატებითი ღირებულების მიმნიჭებელი, ამ პროდუქტების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის მომხარებლისათვის მისაწოდებლად;

დ) ის ღონისძიებები, რომელსაც ახორციელებს გაერთიანება ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის საქონლის სპეციფიკაციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

ე) ის მიღებული ზომები, რომელიც უზრუნველყოფს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებას, მათ შორის გაერთიანების მიერ ჩატარებული ეკონომიკური ანალიზი და ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის მწარმოებელისათვის მიწოდებული სათანადო ინფორმაცია და გაწეული კონსულტაციები;

ვ) ის ზომები, რომელსაც გაერთიანება ახორციელებს საქონლის ღირებულების გასაზრდელად და საჭიროების შემთხვევაში მათ მიერ აღკვეთილი ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული საქონლის რეპუტაციის დამაზიანებელი ან ამ პროდუქტებისათვის რისკის შემქმნელ ქმედებებთან დაკავშირებით;

ზ) გაერთიანების მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება.

3.გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, მონიტორინგის დროს ხორციელდება გაერთიანების საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტური შემოწმება, მათ შორის ჩანაწერების შემოწმება.

4. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი გაერთიანებას შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით აძლევს მითითებას და გონივრულ ვადას მათ შესასრულებლად, ასევე განუმარტავს მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო შედეგებს.

5. შეუსაბამობის გამოსწორებასთან დაკავშირებული მითითებებისა და მათი შესრულებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრისას მონაწილეობას იღებს გაერთიანების წარმომადგენელი.

6. გონივრული ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, გადაამოწმოს მითითებების შესრულების მდგომარეობა 30 კალენდარული დღის ვადაში.

7. უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი აძლევს მითითებას და ახალ გონივრულ ვადას მათ შესასრულებლად.

8. უფლებამოსილი პირის მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გაცემული მითითების ახალ გონივრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი გაერთიანებას უჩერებს კონკრეტულ საქმიანობას. ხოლო გაერთიანება ვალდებულია შეაჩეროს კონკრეტული საქმიანობა.

9. გაცემული მითითებების შესრულების შემდეგ გაერთიანება უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს ან მაკონტროლებელ ორგანოს კონკრეტული საქმიანობის გაგრძელების თაობაზე.

10. კომპეტენტურ ორგანო ან მაკონტროლებელ ორგანო ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამოწმებს გაერთიანების მიერ მითითებების შესრულების მდგომარეობას და იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანების მიერ შესრულებულია გაცემული მითითებები, კომპეტენტურ ორგანო ან მაკონტროლებელ ორგანო გაერთიანებას ანიჭებს უფლებას კონკრეტული საქმიანობის გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 6. მონიტორინგის აქტის დამტკიცება და შევსება

მონიტორინგის აქტის ფორმები და მათი შევსების წესი მტკიცდება:

ა) სურსათის (გარდა ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლისა, სპირტიანი სასმლისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატისა) და სურსათთან შეხებაში მყჰოფი მასალებისა და ნაკეთობების შემთხვევაში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ბ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტიანი სასმელის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო

წარმოშობის დისტილატის შემთხვევაში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. გასაჩივრების წესი

გაერთიანების მონიტორინგის განხორციელებისას კომპეტენტური ორგანოს ან მაკონტროლებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

DRAFT